



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

Good Governance in
Georgia Program

ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის (მეორე გამოცემა)

გზამკვლევი შემუშავდა "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) მიერ შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3)“ ფარგლებში.

ავტორები: პაატა ტურავა
ლევან ავალიშვილი
სერგი ჯორბენაძე

რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი

ამ ნაშრომის შექმნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის საშუალებით გაწეული დახმარებით. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შინაარსი

1. სახელმწიფოს გამჭვირვალობა და ანგარიშგაღებულება	4
2. ინფორმაციის თავისუფლება	4
2.1. ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები	4
2.2. საჯარო ინფორმაციის ცნება	5
3. საჯარო დაწესებულების ცნება	7
4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ლეგიტიმური შეზღუდვა.....	7
4.1. პერსონალური მონაცემები	8
4.1.1. სამართლებრივი საფუძვლები	8
4.1.2. კანონის მოქმედების სფერო	10
4.1.3. მონაცემების დამუშავების წესი	12
4.1.4. მონაცემთა დამუშავებელი	14
4.1.5. მონაცემთა დამუშავების ცალკეული შემთხვევები.....	15
4.1.6. მონაცემთა უსაფრთხოება.....	17
4.1.7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები	19
4.1.8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი	21
4.2. კომერციული საიდუმლოება	22
4.3. პროფესიული საიდუმლოება.....	23
4.4. სახელმწიფო საიდუმლოება.....	24
4.6. აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ინტერესები	28
4.7 შიდაუწყებრივი დოკუმენტაცია.....	31
5. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება	31
6. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა	37
6.1 განცხადების წარდგენა და შინაარსი	37
6.2 საჯარო ინფორმაციის ფორმის არჩევის უფლება.....	40
7. საჯარო ინფორმაციის გაცემა	40
7.1 ვადები	41
7.2 უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.....	43
7.3 საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი.....	46

8. ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა	48
8.1. საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშის წარდგენა.	48
8.2. საჯარო რეესტრი	49
8.3. საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.....	50
9. ზიანის ანაზღაურება.....	51
9.1 ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება	51
9.2 ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.....	52
10. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები	54
10.1 ადმინისტრაციული საჩივარი.....	55
10.1.1 ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა	55
10.1.2 განცხადების (ადმინისტრაციული საჩივრის) გადაგზავნა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში	57
10.1.3 უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე.....	58
10.2 სარჩელი სასამართლოში	58
10.2.1 სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე	59
10.2.2 უარი სარჩელზე	59
პრაქტიკული რეკომენდაციები საჯარო მოხელეებისთვის.....	60

1. სახელმწიფოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება იწოდება, როგორც ინფორმაციის და ცოდნის საზოგადოება. სამართლებრივ სახელმწიფოში, დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლება სამართლებრივ სახელმწიფოში გარანტირებული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა.

სახელმწიფოს გამჭვირვალობა ეფექტიანი დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს სწორედ ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს. სხვაგვარად, შეუძლებელი იქნებოდა საჯარო დაწესებულებების საქმიანობის „საზოგადოებრივი კონტროლი“. მაშინ, როდესაც საზოგადოება ინფორმირებულია სახელმწიფო საქმიანობის შესახებ, ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობა მაღალია. როდესაც მოქალაქე საჯარო დაწესებულებიდან იღებს მისთვის სასურველ ინფორმაციას, მას უჩნდება განცდა, რომ სახელმწიფო მოქმედებს კეთილსინდისიერად და კანონის ფარგლებში. ხოლო, როდესაც ხდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელოვნური შეფერხება, ეს იწვევს სახელმწიფოს მიმართ მოქალაქის ნდობის შემცირებას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპს უპირისპირდება ინფორმაციის დაცვის ინტერესი. როდესაც ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს ან სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ არ მოხდეს ასეთი ინფორმაციის საჯაროობა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გულისხმობს ორივე ინტერესის გათვალისწინებას. კანონმდებელი გვთავაზობს ისეთ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას ამ ორ უფლებას შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჯარო დაწესებულებას უჩნდება ვალდებულება პროპორციულობის ტესტის გამოყენებით განსაზღვროს ხომ არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა ინფორმაციის ღიაობას.

2. ინფორმაციის თავისუფლება

2.1. ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები

ინფორმაციის თავისუფლების და ხელმისაწვდომობის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში.

ინფორმაციის თავისუფლების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციის მე-2 თავში მოქცევა და მისი ადამიანის კონსტიტუციური უფლებების რანგში აღიარება ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ როლს კონსტიტუციით გარანტირებული სხვა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებულია ადამიანის უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს ექვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. აღნიშნული ნორმა ასევე ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც მოიცავს ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების უფლებას. აღნიშნული ნორმებით გარანტირებული უფლების რეალიზაციას ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით (ინფორმაციის თავისუფლება) დადგენილი მოწესრიგება.

ინფორმაციის თავისუფლების არსის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია მთელი რიგი ცნებებისა და ინსტიტუტების განმარტება, რომელიც მოცემულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსის მე-3 თავში და აქვს სპეციალური დატვირთვა ამ თავის მიზნებისთვის. პირველ როგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს *საჯარო ინფორმაციის* ხელმისაწვდომობას *საჯარო დაწესებულებებში*. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ვიცოდეთ, როგორია *საჯარო ინფორმაციის* და *საჯარო დაწესებულების* ცნების შინაარსი.

2.2. საჯარო ინფორმაციის ცნება


სზაკ-ი აღიარებს საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის საჯაროობის პრეზუმციას. საჯარო ინფორმაციის ცნების განმარტებისთვის გამოიყენება ნეგატიური დათქმა, რომლის თანახმადაც საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას არის საჯარო.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი

ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ზემოთ მოცემული დეფინიცია ადგენს საჯარო ინფორმაციის ფორმას. რაც შეეხება მისი შინაარსის განსაზღვრის კრიტერიუმებს, ის კოდექსში არ არის მოცემული. კანონმდებლის ასეთი მიდგომა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საჯარო ინფორმაციის ცნება არ საჭიროებს სპეციალურ განმარტებას, რამდენადაც საჯარო დაწესებულებაში (ლეგალურ დეფინიციაში მოცემული ფორმით) არსებული ნებისმიერი ინფორმაცია არის საჯარო, თუ ის არ მიეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციათა სახეს. იმისათვის რომ დავადგინოთ ინფორმაცია არის თუ არა საჯარო, უნდა გამოირიცხოს მისი კუთვნილება გასაიდუმლოებული ინფორმაციის კატეგორიისადმი.

საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციაზე დაყრდნობით, საჯარო ინფორმაციის არსის დასადგენას აუცილებელია განვმარტოთ, თუ ვინ არის სუბიექტი - საჯარო დაწესებულება, ვისზეც ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა.



**ოფიციალური დოკუმენტი
ინფორმაცია**

- ნებისმიერი ინფორმაცია (მ.შ. ქალაქში გამოსახული)
- ნახაზი
- მაკეტი
- გეგმა
- სქემა
- ფოტოსურათი
- ელექტრონული ინფორმაცია
- ვიდეოჩანაწერი
- აუდიოჩანაწერი

- 1) რომელიც საჯარო დაწესებულებაში დაცულია
- 2) რომელიც დაწესებულებამ ან მოსამსახურემ მიიღო, დაამუშავა, შექმნა ან გააგზავნა სამსახურობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით



პროაქტიულად გამოქვეყნებული

საჯარო დაწესებულების მიერ ელექტრონულ რესურსზე (ვებ-გვერდზე) განთავსებული ინფორმაცია

2013 წლის 1 სექტემბრიდან

3. საჯარო დაწესებულების ცნება

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უკავშირდება საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესს. იმისათვის რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესი იყოს გამჭვირვალე, აუცილებელია სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი. ინფორმაციის ღიაობა აქტუალური ხდება ასევე, როდესაც სუბიექტი არ ახორციელებს მმართველობით ფუნქციას, მაგრამ მისი საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებში.

სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო მმართველობას არის ადმინისტრაციული ორგანო. ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოზე. ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული, აგრეთვე მის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია არის საჯარო.

როდესაც სუბიექტი არ ახორციელებს მმართველობით ფუნქციას, რაც არ უნდა დიდი იყოს ინტერესი მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ის ვერ გახდება ყველასათვის ხელმისაწვდომი. ასეთი სუბიექტების მიმართ საზოგადოების მხრიდან კონტროლის ინტერესი მაშინ ხდება ლეგიტიმური, როდესაც ის საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებში.

აღნიშნული ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით, ინფორმაციის თავისუფლების მიზნებისთვის სზაკ-ით განისაზღვრა ახალი ტერმინი საჯარო დაწესებულება. სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს (ადმინისტრაციული ორგანო) ან მოქმედებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსების ფარგლებში არის საჯარო დაწესებულება და მასზე ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა.

4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ლეგიტიმური შეზღუდვა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება არ ვრცელდება ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაციაზე. ადმინისტრაციული ორგანო თავის საქმიანობას ღიად და გამჭვირვალედ უნდა ახორციელებდეს, თუმცა გარკვეული კატეგორიის საჯარო ინფორმაცია დახურულია რადგან შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ

მონაცემებს. ასეთი სახის ინფორმაციას საჯარო დაწესებულებაში მინიჭებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სტატუსი.

4.1. პერსონალური მონაცემები

4.1.1. სამართლებრივი საფუძვლები

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც ძალაშია 2012 წლის პირველი მაისიდან. კანონი ეყრდნობა კონვენციას „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 ოქტომბრის N 2010 – III დადგენილებით.

რა არის კანონის მიღების მიზანი?

კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

რა არის პირადი ცხოვრება, რომლის ხელშეუხებლობასაც იცავს ეს კანონი?

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის თავისუფლების ზოგადი კონსტიტუციური პრინციპიდან, რომელიც საქართველოს სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზანია სუბიექტისთვის თავისუფლების მინიჭება, თავად გადაწყვიტოს არის თუ არა თანახმა მის პიროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გააცნოს სხვას. რაც მისი თავისუფალი სფეროს განსაზღვრის მნიშვნელოვანი ელემენტია.

საქართველოს კანონმდებლობაში ასახული პირადი ცხოვრების ინსტიტუტი სათავეებს იღებს ამერიკის შეერთებული შტატებში დამკვიდრებული „Right of Privacy“ პრინციპიდან. აღნიშნული პრინციპის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით აღიარებულია სუბიექტის ორი სამართლებრივი პოზიცია. პირველი, „right to be let alone“, მეორე მხრივ, „right to share and withhold“. პირველი პრინციპი ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, ცხოვრების ცალკეულ სფეროებში მარტო იგრძნოს თავი, ხოლო მეორე გულისხმობს პიროვნების თავისუფალ არჩევანს, გასცემს თუ არა მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. პერსონალური მონაცემების ამერიკული მოდელის შედარებითი ანალიზი არ არის ჩვენი მიზანი. თუმცა უნდა ითქვას, რომ თემის აქტუალობა

როგორც ამერიკაში, ასევე საქართველოში გამოწვეულია მმართველობის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით.

პირადი ცხოვრების განსაზღვრისათვის ძირითადად გამოყოფენ სამ სფეროს - ინტიმურს, კერძოს და საჯაროს. ინტიმური სფერო არის ხელშეუხებელი, ხოლო კერძოში ჩარევა ნაწილობრივ დასაშვებია, საჯარო სფერო კი სრულიად დაუცველი. აღნიშნული კლასიფიკაცია პრობლემურია, რამდენადაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი ნათელი ზღვარი გაივლოს ამ სფეროებს შორის.

დილემა მდგომარეობს იმაში, რომ კერძო სფეროს ზუსტი დეფინიცია შეუძლებელია. მონაცემების დამუშავების სამართლებრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის თვით ეს ინფორმაცია. კანონმდებელი განმარტავს პერსონალური მონაცემს, როგორც ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით; ინფორმაცია, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს, არ არის საინტერესო პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნებისთვის.

კანონმდებელი ასევე გამოყოფს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რომელსაც განმარტავს, როგორც მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლობასთან, ასევე ბიომეტრული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით; აღნიშნული დამატება ემსახურება პერსონალური მონაცემების ცნების სრულყოფას, კერძო და ინტიმურ სფეროს შორის ზღვრის გავლებას და ამ უკანასკნელის განსაკუთრებულ დაცვას. აღნიშნული კატეგორიის გამიჯვნის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება¹.

¹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აკრძალვა არ მოქმედებს, თუ:

- ა) მონაცემთა სუბიექტმა გამოხატა წერილობითი თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
- ბ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;
- გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამუშავებლის მიერ შრომითი ვალდებულების შესრულებისათვის ან მასთან დაკავშირებული უფლების განხორციელებისათვის;
- დ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო

თანამედროვე საჯარო მმართველობაში აქტიურად გამოიყენება პირის ბიომეტრული მონაცემები, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად განიმარტება, როგორც ნებისმიერი ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (თითის ანაბეჭდები, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი (თვალის ბადურის გამოსახულება), სახის მახასიათებლები და დნმ-ის კოდი);

პერსონალური მონაცემების (კერძო სფეროს) დაცვა არ გულისხმობს მისი დამუშავების სრულ აკრძალვას. ფიზიკური პირი მთელ რიგ შემთხვევებში ვალდებულია ითმინოს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება. განსაკუთრებით, როდესაც საჯარო ინტერესები ამას მოითხოვს ან მისი დამუშავების ინტერესები აღემატება პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის ინტერესს. პერსონალური მონაცემების დამუშავების დასაშვებობა არ გულისხმობს დამუშავების განუსაზღვრელ უფლებას. ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩება კერძო სფეროს დაცვის ვალდებულება. პერსონალური ინფორმაციის დამუშავება გულისხმობს სწორი ინფორმაციის დამუშავებას და არასწორი ინფორმაციის დამუშავების აკრძალვას. ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მასზე სწორი ინფორმაციის დამუშავება.

4.1.2. კანონის მოქმედების სფერო

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის დაცვისათვის მნიშვნელოვანია მისი მოქმედების სფეროს განსაზღვრა. აღნიშნული კანონი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური ან ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, აგრეთვე არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება.

ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, განაცხადოს თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე;

ე) მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის;

ვ) მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან სავაჭრო გაერთიანების, ასოციაციის ან სხვა არაკომერციული ორგანიზაციის მიერ. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ ორგანიზაციის წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ ორგანიზაციასთან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობას მონაცემთა დამუშავებელსა² და მონაცემთა სუბიექტს³ შორის, რომელიც წარმოიშობა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხთან დაკავშირებით.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

ა) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე;

ბ) მონაცემთა იმ დამმუშავებლის საქმიანობაზე, რომელიც რეგისტრირებული არ არის საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მონაცემთა დამუშავებისათვის იყენებს საქართველოში არსებულ ტექნიკურ საშუალებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ტექნიკური საშუალებები გამოიყენება მხოლოდ მონაცემთა ტრანზიტისათვის. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა დანიშნოს/განსაზღვროს საქართველოში რეგისტრირებული წარმომადგენელი.

უნდა გაიმიჯნოს ის შემთხვევები, რომელიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების გამოყენებას, თუმცა მასზე არ ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი:

ა) ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავებაზე, როდესაც მათი დამუშავება დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობასთან;

ბ) სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე;

გ) სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციის დამუშავებაზე;

დ) მონაცემთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების (მათ შორის, ეკონომიკური უსაფრთხოების), თავდაცვის, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნებისათვის დამუშავებაზე. აღნიშნული კანონის (გარდა მე-17 მუხლისა) მოქმედება არ ვრცელდება მონაცემთა მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამუშავებაზე, აგრეთვე მონაცემთა სახელოვნებო და ლიტერატურული მიზნებისათვის დამუშავებაზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის (ფაილური სისტემის კატალოგი) და მე-20 მუხლის (პერსონალურ მონაცემთა დაცვის

² კანონის მიზნებისთვის განიმარტება, როგორც საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

³ კანონის მიზნებისთვის განიმარტება, როგორც ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.

ინსპექტორისათვის შეწყობინების ვალდებულება) მოქმედება არ ვრცელდება პოლიტიკური პარტიების, პროფესიული და სხვა კავშირებისა და რელიგიური ორგანიზაციების მიერ მათ წევრებთან დაკავშირებულ მონაცემთა დამუშავებაზე.

4.1.3. მონაცემების დამუშავების წესი

პერსონალური მონაცემების დაცვა უნდა ემყარებოდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ პრინციპებს.⁴ ეს პრინციპებია:

ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღახავად;

ბ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისათვის;

გ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი;

დ) მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი. მცდარი და არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, ხოლო კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს;

ე) მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების დასაშვებობის კრიტერიუმებს⁵, ესენია:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

⁴ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-4 მუხლი.

⁵ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლი.

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

ქართველი კანონმდებლის მიერ აღნიშნული ჩამონათვალის დადგენა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით დგება საკითხი სუბიექტის ძირითადი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შესაძლო შეზღუდვის შესახებ. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება 41-ე მუხლით გარანტირებული პერსონალური მონაცემების გამჟავნებისგან დაცვის უფლება. პერსონალური მონაცემების დამუშავება ავტომატურად არ გულისხმობს აღნიშნული ნორმების ხელყოფას, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მონაცემების დამუშავების და კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დაცვის ინტერესები, ყურადღება უნდა მიექცეს კანონით დადგენილ კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ფარგლებს (შეზღუდვის შეზღუდვა).

ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა გულისხმობს აგრეთვე გარდაცვლილის უფლებების დაცვას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი აწესრიგებს მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავების საკითხებს⁶.

⁶ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი.

რას გულისხმობს მონაცემთა დამუშავება ამ კანონის მიზნებისთვის?

მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიო- ან ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, ხოლო მონაცემთა ავტომატური დამუშავება ნიშნავს მონაცემთა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავებას.

4.1.4. მონაცემთა დამუშავებელი

ვინ შეიძლება იყოს მონაცემთა დამუშავებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისთვის?

ეს სუბიექტები არიან: საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. თანამედროვე მმართველობაში ცალკეული სამუშაოს განხორციელების მიზნით ხშირად გამოიყენება კერძო სამართლის იურიდიული პირები. კერძო სუბიექტების მიერ, სამართლებრივი აქტის ან წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, დელეგირებული ფუნქციების ან დავალების შესრულების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას დაცული უნდა იქნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. უფლებამოსილმა პირმა მონაცემები უნდა დაამუშაოს შესაბამისი ნორმატიული აქტით ან ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში. დაუშვებელია უფლებამოსილი პირის მიერ ნებისმიერი სხვა მიზნით მონაცემთა შემდგომი დამუშავება. დაუშვებელია, უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა დამუშავების უფლება გადასცეს სხვა პირს მონაცემთა დამუშავებლის თანხმობის გარეშე. ხელშეკრულების დადებამდე უნდა შემოწმდეს უფლებამოსილი პირის საქმიანობიდან ან/და მიზნებიდან გამომდინარე, ხომ არ არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების საფრთხე.

უფლებამოსილების კერძო პირზე გადაცემის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ ინფორმაციის დამუშავებელი მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს. საჯარო დაწესებულების მიერ უფლებამოსილ პირთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს მონაცემთა

უსაფრთხოებისათვის ზომების მიღების ვალდებულება. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას.

4.1.5. მონაცემთა დამუშავების ცალკეული შემთხვევები

ა. ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავება საჯარო დაწესებულების მიერ

საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ხდება პიროვნების ბიომეტრული მონაცემების დამუშავება⁷. თანამედროვე მმართველობაში აღნიშნული მეთოდის ფართოდ გამოყენების გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს მისი გამოყენების სამართლებრივ ფარგლებს. კანონი უშვებს ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავებას მხოლოდ პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნებისათვის, აგრეთვე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან. აღნიშნული კანონით გათვალისწინებული ამ შეზღუდვების მიუხედავად, ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავება შეიძლება კანონით დადგენილი წესით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ან სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთი პირის იდენტიფიკაციის მიზნებისათვის.

კანონი ასევე უშვებს კერძო პირის მიერ ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავებას შემდეგი დათქმის გათვალისწინებით: თუ ეს აუცილებელია საქმიანობის განხორციელების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნებისათვის, აგრეთვე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელს შემოაქვს დაცვის დამატებითი მექანიზმი: ბიომეტრულ მონაცემთა გამოყენებამდე მონაცემთა დამუშავებელმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უნდა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მონაცემთა სუბიექტს, მონაცემთა დამუშავების მიზეზი და მონაცემთა დაცვის გარანტიები.

ბ. ვიდეოთვალთვალის განხორციელება

საჯარო მმართველობის ორგანოები საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით იყენებენ მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს. ვიდეოთვალთვალი⁸ არის ის ტექნიკური შესაძლებლობა, რომლითაც ხდება აღნიშნული მიზნის მიღწევა. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება საჯარო ინტერესი ასეთი ღონისძიების განხორციელებაზე და

⁷ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-9 მუხლი.

⁸ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-11-მე-14 მუხლები.

პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერსი. კანონმდებელი გვთავაზობს ამ ორ ინტერესს შორის კომფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ კრიტერიუმებს.

დანაშაულის პრევენციის, აგრეთვე პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისათვის გამოიყენება ისეთი პრევენციული ღონისძიება, როგორცაა ქუჩაში ვიდეოთვალთვალი. ასეთი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში საჯარო და კერძო დაწესებულებები ვალდებული არიან, თვალსაჩინო ადგილას განათავსონ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი ითვლება მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად. ვიდეოთვალთვალის სისტემა და ვიდეოჩანაწერები დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისაგან.

საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის.

ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგი. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

შესაბამის კერძო ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და თავისი უფლებების შესახებ.

მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია შექმნას ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა. ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

საჯარო და კერძო დაწესებულებები შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით ახდენენ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების დადგენას. კანონი უშვებს მხოლოდ ისეთი მონაცემების შეგროვებას, როგორცაა: სახელი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მიზეზები.

აღნიშნული მიზნით მონაცემთა შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი ჩაწერის დღიდან სამ წელს, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ისინი უნდა წაიშალოს ან განადგურდეს.

კანონი საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენებას უშვებს მხოლოდ ამ შენობის მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობით.

მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პირისა და ქონების უსაფრთხოების მიზნებისათვის. საცხოვრებელ შენობაში დაყენებული ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შესასვლელისა და საერთო სივრცის მონიტორინგი. მესაკუთრეთა ბინების მონიტორინგი დაუშვებელია, რამდენადაც ეს არის ის ინტიმური სფერო რომელიც არ ექვემდებარება შეზღუდვას.

გ. მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავება

ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზების მიზნით(პირდაპირი მარკეტინგის მიზნები⁹) შეიძლება დამუშავდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები. პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება დამუშავდეს შემდეგი მონაცემები: სახელი (სახელები), მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მონაცემთა სუბიექტის მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე მონაცემის დამუშავების შემთხვევაში .

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამამუშავებელს ნებისმიერ დროს წერილობითი ფორმით მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. ასეთი მოთხოვნის არსებობისას მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

4.1.6. მონაცემთა უსაფრთხოება

საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ადგენს მონაცემთა დამამუშავებლის მთელ რიგ ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. ეს ვალდებულებები გულისხმობს:

- მონაცემთა დამამუშავებლის ვალდებულებას უზრუნველყოს ელექტრონული და არაელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა;
- მონაცემთა უსაფრთხოებისათვის განხორციელებული ღონისძიების და მონაცემთა დამამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატურობას;

⁹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლი.

- მონაცემთა დამუშავებლის და პროცესში მონაწილე ნებისმიერი სუბიექტის ვალდებულებას არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, ვალდებულებას, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა მონაცემთა გამჟღავნების შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით კანონი ადგენს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებას თითოეულ ფაილურ სისტემასთან¹⁰ დაკავშირებით აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი¹¹ და აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ფაილური სისტემის სახელწოდება;

ბ) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დასახელებები და მისამართები, მონაცემთა შენახვის ან/და დამუშავების ადგილი;

გ) მონაცემთა დამმუშავების სამართლებრივი საფუძველი;

დ) მონაცემთა სუბიექტის კატეგორია;

ე) მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში;

ვ) მონაცემთა დამმუშავების მიზანი;

ზ) მონაცემთა შენახვის ვადა;

თ) მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ფაქტი და საფუძველები;

ი) ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები;

კ) ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძველი;

¹⁰ ფაილური სისტემა - მონაცემთა სტრუქტურული წყება, რომელშიც ისინი დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით.

¹¹ ფაილური სისტემის კატალოგი - ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალური აღწერა.

ლ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა.

მონაცემთა დამმუშავებელი, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა აღემატება 20-ს ვალდებულია ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა ან ცვლილების შეტანამდე, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ეს ინფორმაცია.

4.1.7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს¹².

პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;

გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;

დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები;

ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ მონაცემები, კანონის თანახმად, საჯაროა.

მონაცემთა სუბიექტს ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. რაც შეეხება ინფორმაციის მიწოდების ფორმას, მას თავად ირჩევს მონაცემთა სუბიექტი.

რამდენადაც პერსონალური ინფორმაციის დამუშავების უფლება გულისხმობს სწორი ინფორმაციის დამუშავების ვალდებულებას, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის

¹² პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 თავი.

განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

აღნიშნული ღონისძიების აგნხორციელების შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა ყველა მიმღებს უნდა აცნობოს მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია მონაცემთა მიმღებების სიმრავლისა და არაპროპორციულად დიდი ხარჯების გამო. ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ უნდა ეცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 (მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდება), 21-ე (მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება) და 22-ე (მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება) მუხლებით გათვალისწინებული უფლებები საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამ უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

ა) ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;

გ) დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას;

დ) ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ) ინტერესებს;

ე) მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

აღნიშნული საფუძვლების არსებობისას მონაცემთა დამმუშავებლის ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი მონაცემთა სუბიექტს ანიჭებს უფლებას, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამმუშავების შეწყვეტა ან/და დამმუშავებულ მონაცემთა განადგურება.

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამმუშავება ან/და გაანადგუროს დამმუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამმუშავების სხვა საფუძველი.

ზემოთ აღნიშნული უფლება არ ვრცელდება მონაცემთა სუბიექტის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან სასამართლოს, ხოლო თუ მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

როგორც უფლების დაცვის პრევენციული საშუალება, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, საქმის განმხილველ ორგანოს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა გადაწყვეტილების გამოტანამდე. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი.

4.1.8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტს. აღნიშნული ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელებას. ამ მიზნით ინსპექტორს აქვს მთელი რიგი პრევენციული და რეპრესიული უფლებამოსილებები. კერძოდ, ის ახორციელებს საჯარო და კერძო დაწესებულებებისათვის კონსულტაციების გაწევას მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით; იხილავს განცხადებებს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით; ახდენს საზოგადოების ინფორმირებას პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე; ახდენს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებას საჯარო და კერძო დაწესებულებებში. ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის ქმედითობას უზრუნველყოფს მისი სამართლებრივი სტატუსი. ინსპექტორი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არც ერთ სხვა თანამდებობის პირს და ორგანოს. ინსპექტორი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებით, საქართველოს კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და

საკუთარი დებულებით. ინსპექტორზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით.

4.2. კომერციული საიდუმლოება

სზაკ-ის 27² მუხლი:

კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სზაკ-ის 27² მუხლში:

1. შესაძლებელი უნდა იყოს მისი გამოყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და
2. უნდა წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, ან
3. გამჟღავნება ზიანს უნდა აყენებდეს პირის კონკურენტუნარიანობას.

არსებობს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ორი გზა:

1. როდესაც პირი მოითხოვს წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას და ადმინისტრაციული წარმოების შდევად მიიღება გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ;
2. როდესაც კანონი ითვალისწინებს მის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ვალდებულებას.

სხვა შემთხვევაში და საფუძვლით ინფორმაციისთვის ასეთი სტატუსის მინიჭება დაუშვებელია. კომერციული საიდუმლოება მაშინ არის სახეზე, თუ იგი კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა მეწარმეთა შესახებ არსებულ მონაცემებს შეიცავს.¹³ ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არსებული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს საიდუმლოების შემცველი.¹⁴ აქედან გამომდინარე, თუ საჯარო დაწესებულება ამ მიზეზით იტყვის უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ეს შეიძლება გახდეს დავის საგანი.

¹³ იხ. წკეპლაძე ნ., ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., კიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კობალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 27.

¹⁴ მაგალითად, იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის №ბს-614-584(კ-07) განჩინება - აღწერილობითი ნაწილი, თბილისის სააპელაციო სასამართლო 2007 წლის 26 მარტის განჩინება.

კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემები კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი პირის საკუთრებაა. ამ კატეგორიაში არ შედის ინფორმაცია, სახელისა და გვარის შესახებ. მაგალითად, კომერციულ საიდუმლოებად ვერ ჩაითვლება კონკრეტული იურიდიული პირის დირექტორის, ან ხელმძღვანელის სახელი.¹⁵

პირის მოთხოვნა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ საჯარო დაწესებულებამ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს 10 დღის ვადაში. თუ საჯარო დაწესებულება მიიჩნევს, რომ ინფორმაცია ვერ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ვერც ერთ კრიტერიუმს და, შესაბამისად, არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, იგი იღებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დოკუმენტის ღიაობის შესახებ. პირი, რომელიც მოითხოვდა საკუთარი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას, უფლებამოსილია, 15 დღის ვადაში გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში. ხოლო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შემთხვევაში ნებისმიერ პირს ეძლევა შესაძლებლობა, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სზაკ-ით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადაში.

4.3. პროფესიული საიდუმლოება

სზაკ-ის 27³ მუხლი

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

პროფესიული საიდუმლოება წარმოადგენს მონაცემთა ისეთ სახეს, რომელიც პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს და პირისათვის ხელმისაწვდომი ხდება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. პროფესიული საიდუმლოების მატარებელი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო.

პროფესიული საიდუმლოება მოწესრიგებულია „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის პირველი მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით ასეთ ინფორმაციას მიეკუთვნება:

აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე

¹⁵ ამგვარ დათქმას აკეთებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომლის მიხედვითაც, სკოლაში არსებული ბუფეტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი ვერ იქნება კომერციული საიდუმლოების შემცველი, ვინაიდან ამით არ მიადგება პირის კონკურენტუნარიანობას ზიანი. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის Nბს-102-289-კ-03 განჩინება.

პროფესიული ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებას და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ არის სახელმწიფო საიდუმლოება ან სხვა პირის პერსონალური მონაცემები ან კომერციული საიდუმლოება, ასევე ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას.

მაგალითად: *ჟურნალისტმა სამსახურობრივი საქმიანობის დროს კერძო წყაროდან მიიღო ინფორმაცია თანამდებობის პირის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ჟურნალისტს აქვს სრული უფლება არ გაამჟღავნოს წყაროს წარმომავლობა რადგან ეს მისი პროფესიული საიდუმლოება არის.*

4.4. სახელმწიფო საიდუმლოება

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოება არის – „ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში, რომელთა გამჟღავნებაც ან დაკარგვაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.“ ასეთი სახის მონაცემებს წარმოადგენს თავდაცვის, ეკონომიკის და საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში არსებული შემდეგი საკითხები:¹⁶

თავდაცვის სფეროში:¹⁷

ა) სტრატეგიული და ოპერატიული გეგმები, სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების ამსახველი დოკუმენტები, ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნისა და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების საკითხები;

მაგალითად, *საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ნებისმიერი სამხედრო ოპერაციის მომზადებისა და ჩატარების ამსახველი დოკუმენტური მასალა. მოგეხსენებათ, ომის დროს თითოეულ მხარეს გარკვეული სტრატეგია აქვს, რომლის*

¹⁶ იხ. წეკელაძე ნ., ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 24.

¹⁷ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

გამჟღავნებამაც შესაძლოა მოწინააღმდეგის წარმატებას შეუწყოს ხელი. სწორედ, აქედან გამომდინარე, ამგვარი ინფორმაცია კანონმდებლობით არის დაცული გამჟღავნებისგან.

ბ) შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე, სამეცნიერო - კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავება;

მაგალითად, თუ საქართველომ საკუთარი რესურსებით შეიმუშავა თავდაცვითი ტექნოლოგიის უახლესი მოდელი, მის შესახებ ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით არის აკრძალული, ვინაიდან სხვა მხრივ, სახეზე აღარ იქნებოდა ის ნოვაცია, რამაც შესაძლოა ქვეყანას თავდაცვითი მექანიზმების დანერგვაში წარმატება მოუტანოს.

გ) მონაცემები განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეჟიმის, სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ;

მაგალითად, ე.წ. „ცხელი წერტილის“ საზღვართან, იგეგმება სამხედრო ობიექტის განთავსება. ობიექტის განთავსების კოორდინატების, მისი გეგმის და უსაფრთხოების რეჟიმის (მაგ. პოსტზე მსახურობის პერიოდი) განსაჯაროება, ხელს შეუშლის დასახული მიზნის განხორციელებას.

ეკონომიკის სფეროში:¹⁸

ა) სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმები და სიმძლავრეები, სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგისა და მიწოდების მოცულობები, აგრეთვე, სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების განლაგებები და მოცულობები;

მაგალითად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ქართული ჯარისთვის, საგანგებო შემთხვევებისთვის, გადანახული ნედლეულის მარაგის შესახებ ინფორმაცია.

ბ) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემები და რეჟიმი, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

მაგალითად, თბილისში განლაგებული სატელევიზიო ანძის დაცვის სისტემა და რეჟიმი, მისი უსაფრთხოდ ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, შესაძლებელია იყოს გასაიდუმლოებული.

¹⁸ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეორე პუნქტი.

გ) ოქროს საერთო მარაგში შემავალი მონეტარული ჯგუფის - ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და სხვა ფასეულობათა - სახელმწიფო მარაგების კონკრეტულ სახეობათა შესახებ ინფორმაცია, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების, შენახვის, დაცვისა და გაყალბების თავიდან აცილებასთან, მიმოქცევასთან, გაცვლასთან ან მიმოქცევიდან ამოღებასთან დაკავშირებული ოპერაციების თაობაზე;

მაგალითად. ფულის ნიშნების დაცვის მიზნით შემუშავებული სპეციალური ღონისძიებების გეგმით, შესაძლებელი გახდა ყალბი კუპიურების გამორჩევა. თუ მოხდა აღნიშნულის გამჟღავნება, გამყალბებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, დასახონ საპირისპირო ღონისძიებები.

საგარეო ურთიერთობათა სფეროში:¹⁹

ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობები, რომელთა წინასწარმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს;

მაგალითად. საქართველოს სახელმწიფო ინტერესია, ევროკავშირის წევრობა, ამისთვის კი ქვეყანამ აუცილებლად უნდა დადოს სავაჭრო შეთანხმება ერთ-ერთ სახელმწიფოსთან. თუ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები წინასწარ გაახმაურებენ შეთანხმების კრიტიკულ მნიშვნელობას ევროკავშირში წევრობისთვის, მაშინ არაკეთილმოსურნე სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს გარკვეული ბერკეტები შეთანხმების ჩასაშლელად.

ბ) უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხები, თუ ცნობების გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს;

მაგალითად. საქართველოს მთავრობა სხვა სახელმწიფოსთან პარტნიორობით გეგმავს სპეციალური პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც იგეგმება კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება და შემდგომ მათი დანერგვა. ხელშეკრულების დეტალების გამჟღავნებამ კი შესაძლებელია ჩაშალოს პროექტის წარმატებით განხორციელება და ზიანი მიაყენოს ქვეყნის ინტერესებს.

დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში:²⁰

ა) სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია; იმ პირთა თაობაზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან;

¹⁹ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნქტი.

²⁰ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეოთხე პუნქტი.

მაგალითად, ქართული მხარე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აწარმოებს სადაზვერვო საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. თუ ამ საქმიანობის გეგმა და მეთოდები ყველასთვის გახდება ცნობილი, აღნიშნული საქმიანობა ყოველგვარ აზრს დაკარგავს.

ბ) "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირების და ადმინისტრაციულ შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის რეჟიმი;

მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის დაცვის რეჟიმის შესახებ ინფორმაცია, თუ რამდენჯერ იცვლება პოსტზე დაცვის თითოეული თანამშრომელი, ან პრეზიდენტის კორტეჟის მარშრუტი თუ სხვ.

გ) სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემა;

მაგალითად, სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია.

დ) სახელმწიფო შიფრების დამუშავებისა და გამოყენების, კრიპტოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია;

მაგალითად, ინფორმაცია სახელმწიფო კრიპტოგრაფიული კვლევების შედეგების შესახებ.

4.5. აღმასრულებელი პრივილეგია

სზაკ-ის 29-ე მუხლი - აღმასრულებელი პრივილეგია

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

გადაწყვეტილებას იღებს და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ხელს აწერს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი, თუმცა გადაწყვეტილების პროცესში ჩართულია სხვა თანამშრომელი, რომელიც ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს. საბოლოო პროდუქტში - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ ჩანს პროექტის ავტორი. ასეთი ინფორმაციის მესამე პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში (იგულისხმება მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოთხოვნა), საჯარო დაწესებულება ვალდებულია გაასაიდუმლოს იგი. აღნიშნული შეზღუდვა, პირველ რიგში, ემსახურება მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე პირზე ყოველგვარი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით არ ხდება მისი ვინაობის გამხელე. აღნიშნული შეზღუდვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე სუბიექტს ასევე იცავს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო სუბიექტისგან

მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებისაგან. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილების მომზადებაში მონაწილეობს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი. აღნიშნული საკითხისადმი განსხვავებული მიდგომას ვხვდებით საზღვარგარეთის სახელმწიფოების პრაქტიკაში. მაგ., გერმანიაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაში მითითებულია ის პირი, რომელიც მონაწილეობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ სუბიექტთან პირდაპირი კავშირი მოქალაქეს უადვილებს საკითხის დადებითად გადაწყვეტის პერსპექტიულობის და, დავის შემთხვევაში, წარმატების განსჭვრეტას.

4.6. აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ინტერესები

საქართველოს კანონმდებლობა ცალკე საკითხად არეგულირებს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურევლობის შემთხვევებს. სზაკ-ის მოქმედება (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა) არ ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:²¹

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ამ შემთხვევაში არ იგულისხმება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის ასლი. სისხლის სამართლის საქმის წარმოება მოიაზრებს კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს გამოძიებისას გამოადგებათ.

ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;

მაგალითად: სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გახმაურებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს გადაწყვეტილების აღსრულებას, აქედან გამომდინარე კანონი ზღუდავს ამგვარი მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემას.

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველი პუნქტით, „სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48

²¹ სზაკ-ის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი.

საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად...“ ეს საქართველოს პრეზიდენტისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებაა. სამხედრო ძალის გამოყენებიდან ორი თვის შემდეგ (როდესაც ომი დასრულებულია), თუ პირმა მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი, ამ დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია იგი გასცეს მის მომთხოვნზე.

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე პირთა დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლი:²²

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე;

ე) თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები

²² წარმოდგენილია 73-ე მუხლის მხოლოდ პირველი („ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“ და „ო“ ქვეპუნქტები), მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები. ამასთან, შეგნებულად არ არის წარმოდგენილი წინამდებარე მუხლთან დაკავშირებული ის ცვლილება, რომელიც ძალაში 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან შევა.

წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ო) შეიწყალებს მსჯავრდებულებს.

2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტი ემზადება საქართველოს პარლამენტში მოხსენებით გამოსვლისთვის. სანამ პარლამენტში არ დასრულდება პრეზიდენტის მოხსენება, არავის ექნება უფლება მოითხოვოს მოხსენების ტექსტი, რომელიც საჯარო დოკუმენტია.

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან;

მაგალითად: საქართველოსა და ერთ-ერთ სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვას ითვალისწინებს, მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ საჯარო ინფორმაციის მიღება ნებისმიერი მსურველისთვის შეზღუდული იქნება.

ცალკე გამოსაყოფია სზაკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმადაც, სზაკ-ის კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) „მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე სამართალწარმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან/და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად“.

მაგალითად: ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილია სარჩელი, რომელზეც არ არის მიღებული საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება. პირს არ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ამ საქმეზე არსებული სამართალწარმოების შესახებ.

4.7 შიდაუწყებრივი დოკუმენტაცია

კიდევ ერთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს დახურულად არის ე.წ. **შიდაუწყებრივი დოკუმენტაცია**. სზაკ-ის 99-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული წარმოების მასალის გაცნობის უფლებას. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას.

მაგალითად: მოქალაქეს, ერთ-ერთ საჯარო დაწესებულებაში დაკავებულ თანამდებობიდან მისი გათავისუფლების სამართლებრივი ასპექტის გარკვევის მიზნით, სჭირდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებული კონკრეტული შიდაუწყებრივი დოკუმენტის გაცნობა. დოკუმენტის მისაღებად მოქალაქემ უნდა მიმართოს სასამართლოს და მოთხოვნა დააფუძნოს სზაკ-ის 99 მე-2 მუხლის მე-2 ნაწილზე - თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. სხვა შემთხვევაში მსგავსი შინაარსის (ადმინისტრაციული წარმოების მასალა) დოკუმენტის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით.

5. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2012 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად საქართველოს კანონმდებლობაში დამკვიდრდა ახალი ტერმინები, როგორც არის „პროაქტიული გამოქვეყნება“ და „ელექტრონული რესურსები“.

მუხლი 27- პროაქტიული გამოქვეყნება

შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესით საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება საჯარო დაწესებულების მიერ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონმდებლებმა მკვეთრად განსაზღვრეს (40-ე მუხლის მე-3 პუნქტი) ის ფაქტი, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან. ანუ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანომ გამოაქვეყნა რაიმე სახის საჯარო ინფორმაცია საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე (ვებ-გვერდზე) აღნიშნული არ ათავისუფლებს მას ვალდებულებისგან გასცეს იგივე დოკუმენტი დაინტერესებული პირის მიერ მისი წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შემთხვევაში.

ცვლილებების თანახმად (მუხლი 36), ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ამავდროულად უნდა იყოს დადგენილი ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეც.

სზაკ-ის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით“. ხოლო, სზაკ-ის 218-ე მუხლის მიხედვით, შესაბამის ორგანოებს (თანამდებობის პირებს) 2013 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს კოდექსის გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება (გამოცემა). აღნიშნული ჩანაწერები გულისხმობს, იმას, რომ ყველა საჯარო დაწესებულებას, 2013 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შეემუშავებინა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, რომლითაც განისაზღვრებოდა პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტები და პირობები.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილება "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, რომელიც ამკვიდრებს პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტს უშუალოდ მთავრობის და სამინისტროების, აგრეთვე მათ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო დაწესებულებებისთვის (სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები).

ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ საკუთარი ნორმატიული აქტები დაამტკიცეს:

- დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ - საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის №23 დადგენილება;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიამ - 2013 წლის 16 ივლისის №27 დადგენილება;
- საქართველოს პრეზიდენტმა - პრეზიდენტის 2013 წლის 2 სექტემბერის №692 ბრძანებულება;

- სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 3 სექტემბერის №36/2013 დადგენილება;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბერის ბრძანება №1-1/245 (სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ)
- ქალაქ თბილისის საკრებულომ - საკრებულოს 2013 წლის 17 სექტემბერის №14-45 გადაწყვეტილება

სზაკ-ის შესაბამისად მსგავსი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უნდა მიიღონ (გამოსცენ) სხვა ადმინისტრაციულმა ორგანოებმაც: საქართველოს პარლამენტი; საქართველოს სასამართლოები; აჭარისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობები და უზენაესი საბჭოები; თვითმმართველობები და თვითმმართველი ქალაქები; საჯარო სამართლის იურიდიული პირები რომლებიც არ შედიან საქართველოს სამინისტროების მმართველობის სფეროში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი უშუალოდ მთავრობის და სამინისტროების, აგრეთვე მათ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო დაწესებულებებისთვის. ამავე დროს, მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა შედგენილია იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული ორგანოების ფინანსური გამჭვირვალობისა და სხვა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. თუმცა, უნიფიცირებული ფორმის არ არსებობის პირობებში, აუცილებელია, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების არაერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის საფრთხეები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა იხელმძღვანელონ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნუსხით.

ქვემოთ მოვიყვანთ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებზეც დაფუძნებულია მთავრობის აღნიშნული დადგენილება და რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია პროაქტიული გამოქვეყნების უნიფიცირებული სტანდარტების დამკვიდრებისთვის:

➤ **საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება**

1. ადმინისტრაციული ორგანომ უნდა შეიმუშაოს და დანართის სახით დაამტკიცოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა რომელიც უნდა გამოქვეყნდეს შესაბამის ელექტრონულ რესურსზე (ვებ-გვერდზე).

2. დანართში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

3. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პრო-აქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვების დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან.

- **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (პირები)**

ადმინისტრაციული ორგანომ, უნდა განსაზღვროს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (პირები).

- **საჯარო ინფორმაციის გვერდი**

ადმინისტრაციული ორგანომ უნდა უზრუნველყოს საკუთარ ელექტრონულ რესურსზე (ვებ-გვერდზე) საჯარო ინფორმაციის განცალკევებული გვერდის არსებობა. შესაბამისად, ნუსხით განსაზღვრული ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე შექმნილ საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში.

- **პროაქტიული გამოქვეყნების ვადები**

ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება ვრცელდება დანართით განსაზღვრულ ინფორმაციაზე, რომელიც შექმნილია 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ.

- **პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა**

1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ

- სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა
- საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)
- საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში
- შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები

- ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების (საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში – მათი ხელმძღვანელებისა და მოადგილეების) შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები
- ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები
- ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ
- საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა

3. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

- ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა
- ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში კონკურსის ჩატარების წესებს
- ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში

4. ინფორმაცია განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ

- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით
- ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ
- რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები

5. ინფორმაცია დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ

- დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)
- ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ
- ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ
- ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით
- ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია
- ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი
- ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ
- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია
- ინფორმაცია გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან თანხების შესახებ ინფორმაცია

- სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ

6. სამართლებრივი აქტები

- ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში)
- ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია

7. სხვა საჯარო ინფორმაცია

- სერვისების შესახებ ინფორმაცია
- ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

6. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი ვალდებულია მოთხოვნა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებით.


6.1 განცხადების წარდგენა და შინაარსი

„საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას“.²³ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული წერილობითი ფორმის კონკრეტული სახე. მიუხედავად ამისა, განცხადების სწორად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია სზაკ-ის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები იქნეს დაცული.²⁴ განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

²³ სზაკ-ის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი.

²⁴ იხ. სზაკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილი - განცხადების შინაარსი

- ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
- გ) მოთხოვნას;
- დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.



განცხადების შინაარსი არ განსაზღვრავს განცხადების წარდგენის უფლებამოსილებას. ის ზეგავლენას ახდენს მისი დაკმაყოფილების პერსპექტივაზე. ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია.

მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებული ავტომანქანების სახელმწიფო ნომრების ჩამონათვალი წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას და საჯარო დაწესებულებას მისი გასაჯაროება კანონით ეკრძალება. ეს არ გამორიცხავს დაინტერესებული მოქალაქის უფლებას, მოითხოვოს აღნიშნული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში უკვე საჯარო დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება, რომ შეზღუდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თუ მოთხოვნა ეხება ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

2012 წელს სზაკ-ს დაემატა 35¹ მუხლი, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოებს მიეცათ უფლებამოსილება ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი

მიიღონ და გასცენ საქმისწარმოების მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებებით, თუ დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა არჩეული ინფორმაციის მიღების სხვა ფორმა. ადმინისტრაციულ ორგანოს მიეცა შესაძლებლობა ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. დოკუმენტის ელექტრონულ ასლსა და მის ამონაბეჭდს მიეცა ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც დოკუმენტის დედანს.

აღნიშნულ მუხლთან მჭიდრო კავშირშია სზაკ-ის 37-ე მუხლზე დამატებული მე-3 ნაწილი, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის 1 სექტემბრიდან. ამ დამატების თანახმად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით. ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი უნდა დამტკიცდეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. აღნიშნული ჩანაწერი, იდენტურად პროაქტიული ნუსხის კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრის ვალდებულებისა, ქმნის ინფორმაციის მოთხოვნის არაერთგვაროვანი სტანდარტების დამკვიდრების ალბათობას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ამ შემთხვევაშიც იხელმძღვანელონ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესებით. ქვემოთ მოვიყვანთ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებზეც დაფუძნებულია მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის წესი:

1. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით, ელექტრონული რესურსის (ვებ-გვერდის) საშუალებით.
2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაცია (ელექტრონულად გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა უნდა დარეგისტრირდეს) და რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობა (მოთხოვნის ავტორს ავტომატურად უნდა მიუვიდეს მისი განცხადების რეგისტრაციის ნომერი).
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის რეგისტრაციის დადასტურებიდან, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სარეგისტრაციო ნომრის მითითებით, მომდევნო სამუშაო დღეს.
4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გაცემაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

6.2 საჯარო ინფორმაციის ფორმის არჩევის უფლება

*საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევა შეუძლია თავად საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს.*²⁵ საჯარო ინფორმაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: ქალაქში დაწერილი, მაგნიტურ ლენტზე არსებული, ვიდეო გამოსახულება და სხვ.²⁶

საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმის არჩევა არ უნდა მოხდეს საჯარო დაწესებულების მიერ, რაც სამწუხაროდ, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირი შემთხვევაა.²⁷

6.3 საჯარო ინფორმაციის მიღების მიზანი

*საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი არ არის ვალდებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას უთითებდეს მის მოტივსა და მიზანს.*²⁸ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით.

მაგალითად, სამეცნიერო კვლევისთვის, სტატისტიკისთვის, ჟურნალისტური გამოძიების ჩასატარებლად ან უბრალოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. სამართალწარმოებისთვის მნიშვნელოვანია არა გამოვლენილი ნების საფუძველი, არამედ საჯარო დაწესებულების ვალდებულება გასცეს ინფორმაცია, მოთხოვნის მოტივის მიუხედავად.

7. საჯარო ინფორმაციის გაცემა

საჯარო ინფორმაციის გაცემა არის ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი ელემენტი. ინფორმაციის თავისუფლების მომაწესრიგებელ სამართლის ნორმების უპირველესი დანიშნულება სწორედ საჯარო დაწესებულების დავალდებულებაა, გასცეს შესაბამისი დოკუმენტები.²⁹

²⁵ წკეპლაძე ნ., ტურავა პ., ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 115.

²⁶ წკეპლაძე ნ., ადეიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 35.

²⁷ იხ. მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია - <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/424> - ამ პასუხით სამინისტრომ საჯარო ინფორმაციის ფორმის არჩევის უფლება დაარღვია.

²⁸ ადეიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 266.

²⁹ ადეიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 266.

7.1 ვადები

სზაკ-ის მე-40 მუხლის თანახმად, *საჯარო ინფორმაციის გაცემა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა.*³⁰

მაგალითად, პირმა 2014 წლის 10 ნოემბერს საჯარო დაწესებულებაში ფოსტით გააგზავნა წერილი და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია. საჯარო დაწესებულებაში აღნიშნული განცხადება დარეგისტრირდა 14 ნოემბერს. 15 ნოემბერს საჯარო დაწესებულებამ გამოაგზავნა პასუხი, რომელიც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს 18 ნოემბერს ჩაბარდა. ამ შემთხვევაში სახეზეა ვადების დაცვა.

როდესაც ვსაუბრობთ ტერმინზე - საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ ის, თუ რა ვადებზეა ამ შემთხვევაში საუბარი. იმის გათვალისწინებით, რომ კანონი არ განმარტავს დაუყოვნებლივ გაცემის ცნებას, ასეთ პერიოდად გონივრული ვადები უნდა ჩაითვალოს. ამასთან, ვფიქრობთ უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა იმავე დღეს ან განცხადების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მეორე დღეს გულისხმობს.³¹

ხშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის 10 დღიანი ვადა სჭირდება. კანონის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს.

10 დღიანი ვადის მოთხოვნის უფლება საჯარო დაწესებულებას მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისას აქვს. კერძოდ, თუ:

- *საჯარო ინფორმაციის გაცემა საჭიროებს სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;*

³⁰ სზაკ-ის მე-40 მუხლი - მუხლი 40. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მომთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

³¹ *წკეპლაძე ნ., ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 38.*

მაგალითად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიდა განცხადება, რომლითაც პირი ითხოვს დასავლეთ საქართველოში არსებული მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის შესახებ ინფორმაციას. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემა სხვა დასახლებული პუნქტიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას საჭიროებს, სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს 10 დღიანი ვადის მოთხოვნის თაობაზე.

- მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

მაგალითად. სსიპ - სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატში) შევიდა განცხადება, რომლითაც პირმა, საქართველოს მასშტაბით მოითხოვა კონკრეტულ ფაქტებზე არსებული ინფორმაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღწერა. თუ დაწესებულებას ეს ინფორმაცია არ აქვს დამუშავებული, მაშინ მას შეუძლია ისარგებლოს 10 დღიანი ვადით და ვადის გაგრძელების შესახებ აცნობოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს.

- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

მაგალითად. სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართა პირმა და მოითხოვა გურიის მხარეში, 2013 წელს დაქორწინებულ პირთა სრული ოდენობა. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო დაწესებულებას პასუხის გასაცემად საჭირო იყოს სტრუქტურული ერთეულიდან ინფორმაციის გადამოწმება, საჯარო დაწესებულებას შეუძლია მოითხოვოს 10 დღიანი ვადა საჯარო ინფორმაციის გასაცემად.

რა სხვაობაა საჯარო ინფორმაციის შექმნასა და დამუშავებას შორის? გულისხმობს თუ არა თავის მხრივ საჯარო ინფორმაციის შექმნა საჯარო ინფორმაციის დამუშავებას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება სურს.

მაგალითად. საჯარო დაწესებულება ითხოვს 10 დღიანი ვადას საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის იმ მიზეზით, რომ მონაცემები არ არის ერთ დოკუმენტად წარმოდგენილი და საჭიროებს დამუშავებას. დამუშავების შედეგი იქნება ახალი დოკუმენტის შექმნა, რომელიც წარმოდგენილი იქნება დამუშავებული მონაცემებისგან. ჩნდება კითხვა, არის თუ არა დამუშავების შედეგად მიღებული დოკუმენტი შექმნილი საჯარო ინფორმაცია?

სზაკ-ის მე-40 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებამ საჯარო ინფორმაციის გასაცემად 10 დღიანი ვადა შეიძლება მოითხოვოს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს აუცილებელია **მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებისა და დამუშავებისთვის.** როგორც ვხედავთ, აქ თვალნათლივ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული დოკუმენტების მოძიება და მათი დამუშავება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დოკუმენტების დამუშავებაში იგულისხმება, სწორედაც, რომ მათში ასახული მონაცემების დამუშავება და არა მხოლოდ მათი ერთად თავმოყრა ან აკინძვა, ანუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილის მიღებისას საჯარო დაწესებულებას აქვს კანონით

დარეგულირებული ახალი დოკუმენტის შექმნის უმნიშვნელოვანესი ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სზაკ-ის ინფორმაციის თავისუფლების თავი კარგავს მნიშვნელობას და საჯარო დაწესებულების ვალდებულება მხოლოდ მექანიკური ქსეროკოპირებით შემოიფარგლება.

7.2 უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე


საჯარო ინფორმაციის გაცემა დაუშვებელია, თუ იგი საიდუმლო მონაცემებს შეიცავს. თუმცა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული. სხვა შემთხვევაში სახეზე იქნება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული პასუხი. საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები.

სზაკ-ის 41-ე მუხლის თანახმად, *საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.*³² კანონმდებელი სიტყვაში - დაუყოვნებლივ, გულისხმობს გონივრულ ვადებს, რომელიც სამ სამუშაო დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ამგვარი ვარაუდის საფუძველია ამავე მუხლის მეორე ნაწილში არსებული დათქმა, რომლის მიხედვითაც, საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის მომენტიდან სამ დღეში განუმარტავს პირს თავის უფლებებსა და გასაჩივრების წესს.

მაგალითად, თუ პირი ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსგან საჯარო ინფორმაციას, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას. აღნიშნულის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უარი უთხრას საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს ინფორმაციის გაცემაზე. გარდა ამისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ აუცილებლად უნდა აუხსნას პირს გასაჩივრების რა შესაძლებლობა აქვს მას ამ შემთხვევაში.

³² სზაკ-ის 41-ე მუხლი - საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.
2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.



საქართველოს კანონმდებლობა აწესებს ინფორმაციის იმ სახეებს, რომელთა განსაჯაროებაც დაუშვებელია. ამავე დროს, საქართველოს კანონმდებლობა საზღვრავს მონაცემთა იმ კატეგორიასაც, რომელთა გასაიდუმლოებაც დაუშვებელია და რომელიც საჯარო ინფორმაციის ნებისმიერმა მომთხოვნმა აუცილებლად უნდა მიიღოს.

კერძოდ, საჯარო დაწესებულებას არ აქვს უფლება გაასაიდუმლოოს ინფორმაცია, თუ იგი ეხება შემდეგ მონაცემებს:³³

(ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას

მაგალითად, პირმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროდან მოითხოვა ინფორმაცია გუდაური-კობის მონაკვეთზე პროგნოზირებული მეტეოროლოგიური პირობების შესახებ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ. საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს შეუძლია არ მიუთითოს, რა მიზნით მოითხოვა აღნიშნული ინფორმაცია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ ინფორმაციის გასაიდუმლოებით შესაძლოა საფრთხე შეექმნას ადამიანთა სიცოცხლეს.

(ბ) საჯარო დაწესებულების ძირითადი პრინციპები და მიმართულებები

მაგალითად, პირმა მოითხოვა დოკუმენტი, სადაც ასახულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და საქმიანობის პრინციპები. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაუყოვნებლივ გასცეს ინფორმაცია.

(გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

³³ სზაკ-ის 42-ე მუხლი.

მაგალითად, პირმა მოითხოვა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესი. საჯარო დაწესებულებამ აუცილებლად უნდა გასცეს აღნიშნული ინფორმაცია.

(დ) იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალუბათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება

მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ან მინისტრის მონაცემები, მათი სამსახურებრივი კოორდინატები.

(ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები

მაგალითად, საჯარო დაწესებულებაში კონკრეტულ საკითხზე (რომელიც არ მოიცავს საიდუმლოების შემცველ მონაცემებს) კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილების შედეგის შესახებ ინფორმაცია.

(ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია

მაგალითად, თბილისის მერის საარჩევნო შტაბის მიერ გაწეული ხარჯები და ღონისძიებების ჩამონათვალი.

(ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს

მაგალითად, თუ საჯარო დაწესებულება წარმოადგენს მხარეს კონკრეტულ ადმინისტრაციულ საქმეში, მოთხოვნის საფუძველზე დაინტერესებულ პირს აუცილებლად უნდა ეცნობოს ამ საქმის დეტალების შესახებ (მოსარჩელე მხარის შესახებ ინფორმაცია დაშტრიხული სახით იქნება გაცემული).

(თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი

მაგალითად, ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო რეესტრზე პასუხისმგებელი პირის ვინაობის შესახებ.

(ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი

მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიში, სადაც ასახულია თუ რა საჯარო ინფორმაცია გასცა კონკრეტულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ.

(ვ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე

მაგალითად, პირმა მოითხოვა საჯარო დაწესებულებაში საკუთარ თავზე დაცულ მონაცემებში გარკვეული ცვლილებების შეტანა. მას სურს გაიგოს მოთხოვნის შედეგები, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს აღნიშნული ინფორმაცია.

(ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს

მაგალითად, იმ პირთა თანამდებობები, რომელთაც შეუძლიათ გაეცნონ საჯარო რეესტრში შეტანილ პერსონალურ მონაცემებს.

(მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია

მაგალითად, პირთა წრე, რომელთა შესახებაც კონკრეტული საჯარო დაწესებულება აგროვებს შესაბამის ინფორმაციას. შესაძლებელია, ეს ინფორმაცია საიდუმლოების შემცველი იყოს, მაგრამ პირთა კატეგორიის დასახელება მის განსაჯაროებას ხელს არ უშლის.

(ნ) თანამდებობის პირების შესახებ არსებული ინფორმაცია

მაგალითად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

(ო) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გასცეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს.

7.3 საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გულისხმობს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობას. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლისა. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების

მოსაკრებელი არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც იხდის საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირი შესაბამისი ორგანოს მიერ ასლის გადაღებისათვის.

რას გულისხმობს საჯარო ინფორმაციის ასლის გაადღება?

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღება არის საჯარო ინფორმაციის დედნიდან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გარეშე ინფორმაციის ზუსტად გადატანა (ჩაწერა, გადაღება) ინფორმაციის მატარებელზე (ფურცელი, კომპაქტური დისკი, დისკეტა, აუდიო- და ვიდეოკასეტა).

როგორია საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა?

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობას. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს:

- ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს;
- ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს;
- გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს;
- დ) დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს;
- ე) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი – 2,75 ლარს;
- ვ) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს.

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლებს:

- ა) ინფორმაციის მომთხოვნის დისკეტაზე ან კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა;
- ბ) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნა;
- გ) ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღება.

როგორია საჯარო ინფორმაციის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესი?

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესს, რომლის თანახმადაც საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადაიხდება საჯარო

დაწესებულების სალაროში ან/და საბანკო დაწესებულების მეშვეობით, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით, საჯარო დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესით. ამასთანავე, საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვროს წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაცივმა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ.

8. ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა

8.1. საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშის წარდგენა

სზაკ-ის 49-ე მუხლის საფუძველზე საჯარო დაწესებულებას გააჩნია ვალდებულება საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშები, თუ რამდენი ინფორმაცია გაიცა მთელი წლის მანძილზე საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე, რამდენ პირს ეთქვა უარი საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე და სხვ. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს, ანგარიშში უნდა აისახოს შემდეგი მონაცემები:

- ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
- ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
- გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;
- დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.

- ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;
- ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;

8.2. საჯარო რეესტრი

სზაკ-ის 35-ე მუხლი - საჯარო რეესტრი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და ან რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა სახის ინფორმაცია აღირიცხება საჯარო რეესტრში, რომელსაც, როგორც წესი, კანცელარია აწარმოებს.³⁴ მის დანიშნულებას საჯარო ინფორმაციის დამუშავება-შენახვა წარმოადგენს.³⁵ დაწესებულებებში საჯარო რეესტრი შესაძლებელია სხვადასხვა სახის იყოს.

მაგალითად, ცალკე ჟურნალში ხდებოდა მხოლოდ ფინანსური სახის დოკუმენტაციის აღწერა, ან მიმდინარეობდა მიღებული და გასული წერილების აღწერა თუ სხვა.

არსებული პრაქტიკიდან ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოებს არ ესმით საჯარო რეესტრის მნიშვნელობა.³⁶ ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშებს,³⁷ ხოლო ნაწილი საჯარო რეესტრს საერთოდ არ აწარმოებს.³⁸

³⁴ იხ. წკეპლაძე ნ., ადეიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 32.

³⁵ ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული სამართალი, თბ., 2004, 65.

³⁶ იხ. მაგალითად, გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული პასუხი: <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/470>


³⁷ იხ. მაგალითად, სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის პასუხი, რომელიც ნაცვლად საჯარო რეესტრისა, საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშების შესახებ გასცემს ინფორმაციას - http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/text_info/id/2597

³⁸ იხ. <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/451>

რა სახის მონაცემები უნდა იქნეს შეტანილი საჯარო რეესტრში? დღევანდელი სასამართლო პრაქტიკა ამ კითხვას შემდეგ პასუხს სცემს: „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, მის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაში, რეესტრში, ინფორმაციულ სისტემასა და მომსახურების გაწევის პროცესში შეაგროვოს (დაამუშაოს) მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით“³⁹ – ამ მუხლის საფუძველზე სასამართლო ე.წ. დაუმუშავებელ ინფორმაციად იმ ინფორმაციას თვლის, რომელიც საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო რეესტრში შეტანილი არაა.⁴⁰

8.3. საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

სზაკ-ის 36-ე მუხლის საფუძველზე საჯარო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, რომლის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა. ამასთან ერთად, ამ საჯარო მოხელის საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მოქალაქისთვის.⁴¹ საჯარო მოხელემ აღნიშნული თანამდებობა შეიძლება შეუთავსოს სხვა თანამდებობასაც, რაც უკვე უშუალოდ საჯარო დაწესებულების შიდა რეგულირების სფეროა.



³⁹ „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

⁴⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის N3/3646-22 გადაწყვეტილება.

⁴¹ იხ. ჩქეკლაძე ნ., ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., ჩოჩორია ნ., გენაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 34.

9. ზიანის ანაზღაურება

9.1 ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება⁴²

ნებისმიერ პირს, რომელსაც არ მიეწოდა საჯარო ინფორმაცია, უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. საქართველოს კანონმდებლობა ამგვარი შესაძლებლობის რამდენიმე სახეს იცნობს. კერძოდ, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის დაყენება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

მაგალითად, პირი ითხოვს საჯარო ინფორმაციას ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ. საჯარო დაწესებულება ამ ინფორმაციას ასაიდუმლოებს და მას სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებად მიიჩნევს. თუ პირი ჩათვლის, რომ ამ ინფორმაციის არმიწოდებით დაირღვა მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის უფლებები, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ბ) არასწორი ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

მაგალითად, პირის შესახებ საჯარო რეესტრში შეტანილი იქნა არასწორი ინფორმაცია, რომლითაც ამ პირს მიადგა არაქონებრივი ზიანი, შეილახა მისი პატივი, ღირსება თუ საქმიანი რეპუტაცია. მას აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით კონკრეტული განცხადების დაყენების უფლება.

გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე, მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;

მაგალითად, საჯარო დაწესებულებას აქვს სასადაილო. ამ სასადაილოში მომუშავე პირები წარმოადგენენ ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ თანამშრომლებს, რომლებზეც არ ვრცელდება სზაკ-ის 44-ე მუხლი. თუ დაწესებულებამ ამ პირთა თანხმობის გარეშე გაავრცელა მათი პერსონალური მონაცემები, მაშინ დაირღვევა პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოების წესი. ამ შემთხვევაშიც, თუ პირი ჩათვლის, რომ მას მიადგა ზიანი, ის უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სზაკ-ის მესამე თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

⁴² სზაკ-ის 47-ე მუხლი.

მაგალითად, პირს სურს მიიღოს კონკრეტული საჯარო ინფორმაცია. საჯარო დაწესებულება კი არღვევს კანონით დადგენილ ვალდებულებას და ინფორმაციას გასცემს სამი თვის დაგვიანებით. თუ პირი ჩათვლის, რომ ვადის გადაცილებით დაირღვა მისი უფლება, მას წარმოეშობა უფლებამოსილება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, **ზიანის ანაზღაურების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას**.⁴³

9.2 ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

სზაკ-ის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამავე კოდექსში არ არის განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების საკითხი, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდგომში - სსკ) დადგენილი ნორმების შესაბამისად წესრიგდება.⁴⁴ აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს, ნებისმიერმა პირმა საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სსკ-ის ნორმებს უნდა მიმართოს.

არსებობს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის სახეები.⁴⁵ საჯარო ინფორმაციის მიუწოდებლობით ქონებრივი სახით ზიანის ანაზღაურების მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ შემთხვევა, როდესაც საჯარო დაწესებულების მიერ ამინდის გაუარესების თაობაზე პირს არ მიეწოდა ინფორმაცია, ხოლო მან ველარ მოასწრო სტიქიისგან თავის დაღწევა და მის საკუთრებაში არსებული ქონების გადარჩენა. მას შეუძლია ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, მაგრამ მოთხოვნა აუცილებლად ადმინისტრაციული სამართლით მოწესრიგებული ნორმების საფუძველზე უნდა დააყენოს.

განვიხილოთ მეორე მაგალითი: პირს ინფორმაციის გაუცემლობით მიაღვა არაქონებრივი ზიანი. იგი თვლის, რომ შეილახა მისი ღირსება. მან მოთხოვნა აუცილებლად ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით უნდა დააყენოს. კერძოდ, მაგალითად, სზაკ-ის 47-ე მუხლის საფუძველზე და მხოლოდ შემდგომ უნდა გამოიყენოს სსკ-ის მე-18 მუხლი.⁴⁶

⁴³ სზაკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁴⁴ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 18 აპრილის Nას-1147-1394-05 გადაწყვეტილება.

⁴⁵ ქიტოშვილი დ., ადეიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 327.

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი - პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

არაქონებრივი ზიანის ფაქტი შეიძლება გამოიხატოს პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვაში.

ზიანის მიყენების შეიძლება უშუალოდ საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირის მიერ იქნეს განხორციელებული, რომლის დროსაც პასუხისმგებლობა იმ საჯარო დაწესებულებას ეკისრება, რომლის თანამშრომელსაც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულ შემთხვევას აწესრიგებს სზაკ-ის 208-ე მუხლი,⁴⁷ რომელიც განმარტავს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. (24.06.2004 N 222)

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

⁴⁷ სზაკ-ის 208-ე მუხლი - სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი


1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო

განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია ის ადმინისტრაციული ორგანო, სადაც მუშაობს ეს პირი.

მაგალითად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა არ გასცა საჯარო ინფორმაცია კანონში გაწერილი ვადებით. ამ შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის მომთხოვნმა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა უნდა წამოაყენოს არა უშუალოდ ამ პირის მიერ გარკვეული ქმედების განხორციელების სახით (ფულადი კომპენსაციით თუ სხვ.), არამედ საჯარო დაწესებულების მიერ ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.⁴⁸ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა მიეთითოს მიზეზი, თუ რის საფუძველზე დადგა ამგვარი შედეგი და რა უკანონო სახის ქმედება განახორციელა საჯარო დაწესებულებამ.⁴⁹



10. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის მიღების ერთადერთ ფორმას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება წარმოადგენს. *გასაჩივრების უფლებას საქართველოს კანონმდებლობა ორ ნაწილად ჰყოფს: ადმინისტრაციული საჩივრისა და სარჩელის შეტანის შესაძლებლობის სახით.*

⁴⁸ ივლისისხმება სასამართლოში სარჩელის შეტანა და არა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც ზემდგომ თანამდებობის პირთან შეიძლება იქნეს შეტანილი. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 ივლისის Nბს-411-395(კ-08) განჩინება.

⁴⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 15 თებერვლის N3ბ/2198-11 განჩინება.

10.1 ადმინისტრაციული საჩივარი

სზაკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი - ადმინისტრაციული საჩივარი დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

ადმინისტრაციული საჩივარი სასამართლოში სარჩელის წარდგენის ერთგვარი წინაპირობაა.⁵⁰ ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის ვადას ერთი თვე წარმოადგენს.⁵¹ ადმინისტრაციული საჩივარი იმ შემთხვევაში შეიტანება პირის მიერ, თუ იგი თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, ფორმალური წარმოების ზოგიერთი დებულების გამოყენებით.⁵²

ადმინისტრაციულ საჩივარს არ გააჩნია კანონით დადგენილი ფორმა. კანონმდებლობაში მხოლოდ ისაა განსაზღვრული, თუ რა სახის რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს იგი.⁵³

10.1.1 ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა

ადმინისტრაციული საჩივარი აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს:

⁵⁰ ბარშილაძე ი., ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“, N1 2011, 182.

⁵¹ სზაკ-ის 180-ე მუხლი.

⁵² სხირტლაძე ნ., იხ. ადვიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 314.

⁵³ სზაკ-ის 181-ე მუხლი - ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი

1. ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;

ე) მოთხოვნა;


ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

- ფიზიკური პირი, რომლის უფლებებიც დაირღვა;
- იურიდიული პირის წარმომადგენელი;
- საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი, თუ საჯარო დაწესებულება თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა;
- შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ფიზიკური პირის წარმომადგენელი.

ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს ორ შემთხვევაში: ა) თუ ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოში არსებობს ზემდგომი თანამდებობის პირი და ბ) თუ არსებობს ადმინისტრაციული აქტის გამომცემი საჯარო დაწესებულების ზემდგომი ადმინისტრაციულ ორგანო (თუ აქტი გამოცემულია ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ).



10.1.2 განცხადების (ადმინისტრაციული საჩივრის) გადაგზავნა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში

არავინაა დაზღვეული შეცდომის დაშვებისგან ან მაგ. ადრესატის შეცდომით მითითებისგან. ამ მხრივ, საქართველოს კანონმდებლობა, ადმინისტრაციული წარმოებისას, თითოეულ პირს უადვილებს ბიუროკრატიულ პროცედურებს, როდესაც საჯარო დაწესებულებას განცხადების ადრესატზე გადაგზავნის მოვალეობას აკისრებს.

მაგალითად: პირმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ნაცვლად, ადმინისტრაციული საჩივარი შეცდომით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა. სზაკ-ის ნორმების შესაბამისად, არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, განცხადება (ადმინისტრაციული საჩივარი) გადაუგზავნოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.⁵⁴

⁵⁴ სზაკ-ის 185-ე მუხლის მიხედვით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებისას გამოიყენება სზაკ-ის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი, ხოლო VI თავის მე-80 მუხლი საუბრობს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნის თაობაზე. იხ:

1. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.
2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნისას დაუშვებელია რაიმე მოსაზრების წარდგენა განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.
3. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.
4. თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.
5. განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

10.1.3 უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე⁵⁵

ადმინისტრაციული საჩივრის შემტანს უფლება აქვს უარი თქვას შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივარზე. ადმინისტრაციული საჩივრის შემტანი არ არის ვალდებული განმარტოს უარის მიზეზი.

10.2 სარჩელი სასამართლოში

საქართველოში სასამართლოსადმი მიმართვა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.⁵⁶ აღნიშნული უფლების გამოყენებისთვის საჭიროა პირმა იცოდეს, თუ დავის რა სახის კატეგორიასთან აქვს მას საქმე: ადმინისტრაციული, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლებრივ დავასთან. შესაბამის მოთხოვნასაც სწორედ აღნიშნულის საფუძველზე დააყენებს.

⁵⁵ სზაკ-ის 191-ე მუხლი - ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა:

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს ადმინისტრაციულ საჩივარზე.
2. უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე განცხადებული უნდა იქნეს წერილობით. ზეპირი მოსმენის დროს დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ადმინისტრაციულ საჩივარზე უარი განაცხადოს აგრეთვე ზეპირადაც.
3. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი.

⁵⁶ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი:

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია.
4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.
5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.
6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.
7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.
8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.
9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

10.2.1 სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სასკ) 24-ე მუხლი - სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე:

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.
2. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

როდესაც პირს შეაქვს სარჩელი სასამართლოში, აუცილებელია, რომ მან საკუთარი მოთხოვნები სრულყოფილად ჩამოაყალიბოს. კერძოდ, უნდა გაწეროს ის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც თვლის, რომ შეილახა მისი უფლებები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დასაშვებობაზე აუცილებელია, რომ მოსარჩელეს მიადგეს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი.⁵⁷

მაგალითად, პირს არ მიეწოდა საჯარო ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადებში, მან შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი, რასაც საჯარო დაწესებულების მხრიდან რეაგირება კვლავ არ მოჰყოლია. თუ იგი სასამართლოში სარჩელს შეიტანს, აუცილებლად უნდა დაასაბუთოს, თუ რა სახით იქნა მისი უფლებები დარღვეული.

სზაკ-ის 24-ე მუხლით სასამართლოში სარჩელი დასაშვებია, თუ მოსარჩელის მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას არ გულისხმობს.⁵⁸

10.2.2 უარი სარჩელზე

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას მის მიერ შეტანილ სარჩელზე (დისპოზიციურობის პრინციპი).⁵⁹ ამ შემთხვევაში, მან აუცილებლად უნდა მიუთითოს კონკრეტული საქმის დასახელება.

⁵⁷ ლორია ვ., წკეპლაძე ნ., გიორგაძე გ., კოპალეიშვილი მ., ხარშილაძე ი., ჩქარეული ც., ლორია ხ., ლორია ა., სალხინაშვილი მ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004, 182.

⁵⁸ იხ. იქვე.

⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი.

პრაქტიკული რეკომენდაციები საჯარო მოხელეებისთვის

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიებთან ერთად, მნიშვნელოვანია თავად საჯარო დაწესებულებებმა ჩაუყარონ საფუძველი ისეთ პრაქტიკას, რომელიც უზრუნველყოფს მათთან დაცული ინფორმაციის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებულ პირისათვის.

საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს, მაგრამ ქვემოთ შემოთავაზებული რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება საჯარო დაწესებულებების მიერ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის თავისუფლების სფეროში არსებულ პრაქტიკას და დაახლოვებას მას საერთაშორისო სტანდარტებთან.

საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის მართვა

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო დაწესებულებებში არსებული ჩანაწერებისა და დოკუმენტების მართვის საკითხებში კანონმდებლობა შედარებით მწირ რეგულირებას ითვალისწინებს, საჯარო დაწესებულებებს საშუალება აქვთ ეს ხარვეზი მათივე მიერ დადგენილი შიდა პროცედურებით შეავსონ. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მართვის ელექტრონული სისტემების უპირატესობა და აქტიურად დანერგონ დოკუმენტთა ბრუნვის ავტომატური საშუალებები მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დოკუმენტების ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს, დაზოგავს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა დროს და გააუმჯობესებს იმ ინფორმაციის ხარისხს, რომელიც დაინტერესებულ პირთა განცხადებების პასუხად გაიცემა.

განცხადებების მიღების, განხილვისა და ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2012 წლის მაისში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენისათვის დაშვებული გახდა ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის საშუალებების გამოყენება. აღნიშნული ცვლილება მოითხოვს საჯარო დაწესებულების მიერ განცხადებების ელექტრონული ფორმით მიღების სისტემის შექმნასა და მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფას. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებმა სათანადო რესურსები უნდა მიმართონ კანონით შემოტანილი სიახლის რეალიზებისათვის აუცილებელი პრაქტიკული საფუძვლის შექმნას.

განცხადების განხილვისას საჯარო დაწესებულებებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის უმოკლეს ვადაში მიღების შესაძლებლობა, რისთვისაც, განსაკუთრებით ეფექტური იქნებოდა, ინფორმაციის მოთხოვნის განხილვის შიდა პროცედურის დადგენა. ასეთი წესით დაწესდებოდა საქმისწარმოების განსაკუთრებული რეჟიმი ინფორმაციის მოთხოვნილ შემოსულ განცხადებებზე, განისაზღვრებოდა ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი თანამდებობის როლი ამ პროცესში, რომელიც, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კონსულტაციის საფუძველზე, უზრუნველყოფდა ინფორმაციის გაცემას კანონით დაწესებულ ვადებში.

ინფორმაციის გაცემისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის მამიებელ პირებთან კონსულტაციის სიტემის დანერგვა. ხშირ შემთხვევებში, ასეთი კომუნიკაცია ხელს უწყობს მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობის განსაზღვრას, ასევე ინფორმაციის მიღების სასურველი ფორმის დადგენას. იდეალურ შემთხვევაში, განცხადების ავტორს უნდა ეცნობოს იმ საჯარო მოხელის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც პასუხისმგებელია განცხადების განხილვისათვის.

ანგარიშვალდებულება და ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილია საჯარო დაწესებულებათა ვალდებულება, მოამზადონ ყოველწლიური ანგარიშები კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავის შესრულებასთან დაკავშირებით. კანონით დადგენილია მონაცემთა ნუსხაც, რომელიც ასეთ ანგარიშში უნდა აისახოს.

ამ ვალდებულების შესასრულებლად ეფექტური გზა იქნებოდა, საჯარო დაწესებულებების მიერ ანგარიშის სტანდარტული ფორმის დადგენა, რომლის შემუშავება როგორც ინდივიდუალური საჯარო დაწესებულების დონეზეა შესაძლებელი, ასევე სხვა საჯარო დაწესებულებებთან კოორდინაციაშიც. ამ ინიციატივით, საგრძნობლად გაუმჯობესდება საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ანგარიშის ხარისხი და ამასთან, დაადგენს ანგარიშის მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირისათვის სასარგებლო სახელმძღვანელოს. ვინაიდან, ანგარიშის მომზადება, უმეტესწილად, საჯარო დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობას მოითხოვს, უნიფიცირებული ფორმის არსებობა გაამარტივებს და ერთგვაროვანს გახდის ანგარიშის შედგენის პროცესს.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული თვით საჯარო დაწესებულების მიერ. აუცილებელია ანგარიშში მოცემული ინფორმაციისა და ტენდენციების რეგულარული ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს საჯარო დაწესებულების პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და ხარვეზების აღმოფხვრას.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, განსაკუთრებული როლი ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს უნდა მიენიჭოს. ასეთი თანამდებობის პირის

ფუნქციების შესახებ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არავითარ დირექტივებს არ იძლევა, რაც საჯარო დაწესებულებებს სთავაზობს შესაძლებლობას, თავად დაადგინონ მათთვის სასურველი წესები. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის პოზიცია უნდა იძლეოდეს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას და მისი როლი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შემოსული განცხადებების განხილვით. ის უნდა განსაზღვრავდეს დაწესებულების პოლიტიკას ინფორმაციის თავისუფლების სფეროში, ადგენდეს შიდა პროცედურებს და იძლეოდეს რეკომენდაციებს საჯარო დაწესებულების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ 2012 წლის მაისის ცვლილებების შემდგომ, საჯარო ინფორმაციისათვის პასუხისმგებელი პირს დაემატა ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ვალდებულებებიც, რაც საჯარო დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული თანამდებობის პირის უფლებამოსილებების განსაზღვრისას.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა ინფორმირებულობას ინფორმაციის თავისუფლების სფეროში არსებული საკანონმდებლო რეგულირებებისა და დაწესებულების შიდა პოლიტიკის შესახებ. ინფორმაციის დამუშავებასთან, გაცემასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პროცედურული დოკუმენტები უნდა გადაეცეს ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. მნიშვნელოვანია თანამშრომელთათვის ამ თემაზე ინფორმაციის მიწოდება ტრენინგების მეშვეობითაც.

საჯარო დაწესებულებებმა უნდა დაამკვიდრონ იმ თანამდებობის პირთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პრაქტიკა, რომლებიც არღვევენ ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება მნიშვნელოვნად დაზოგავს საჯარო დაწესებულებების მიერ განცხადებების განხილვასა და ინფორმაციის მოძიებისათვის საჭირო რესურსებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილ იქნას საჯარო დაწესებულებაში განცხადების წარდგენამდე. მით უფრო, რომ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, საჯარო დაწესებულებებს უკვე კანონითაც ეკისრებათ.

ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ საშუალებას, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდები წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ვებ-გვერდი იყოს მუდმივად განახლებული და მასზე განთავსებული იყოს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები. ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს დაწესებულების დებულება, სტრუქტურა, ბიუჯეტი, ინფორმაცია შესყიდვების შესახებ, თანამდებობის პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, მათი სახელფასო სარგო და სხვა მონაცემები, რომლებიც კანონმდებლობის საფუძველზე არ ექვემდებარება გასაიდუმლოებას.

იმ ინფორმაციის განსასაზღვრად, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, საჯარო დაწესებულებებმა უნდა მოახდინონ ინფორმაციის მამიებელთა მიერ წარდგენილი განცხადებების ანალიზი. ყველაზე ხშირად გამოთხოვილი ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ვებ-გვერდის მეშვეობით შეამცირებს დაინტერესებულ პირთა საჯარო დაწესებულებებისათვის მიმართვების რაოდენობას. ვებ-გვერდისათვის საძიებო ფუნქციისა და ელექტრონული ფოსტით სიახლეების გამოწერის შესაძლებლობის დამატება, მნიშვნელოვნად გაზრდის მისი გამოყენების ეფექტურობას. ვებ-გვერდებთან ერთად, საჯარო დაწესებულებებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ სოციალური მედიის მზარდი პოტენციალიც.

ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ იმ პირთა ინტერესებიც, ვისაც ინტერნეტისადმი ხელი არ მიუწვდებათ და დაწესებულების შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განათავსონ ის ინფორმაცია, რომლის გამოქვეყნებაც ამ მეთოდით გონივრულად არის შესაძლებელი. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისათვის ალტერნატიულ მეთოდს ბეჭდური (ოფიციალური და არაოფიციალური) მედია და ტელე თუ რადიომაუწყებლობები უნდა წარმოადგენდეს.

ინფორმაციის მიწოდების ნებისმიერი საშუალებების გამოყენებისას, საჯარო დაწესებულებებმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ სხვადასხვა ეროვნული კუთვნილების პირთა უფლებას, რათა მათ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე მიიღონ.